წელიწადი I-ლი — ოთხშაბათი 26 იანვარი — ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 50 მან.
4 „ „ „ . . . . 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.
ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 18 — ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო — № 18

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. მროველ-სხირტლაძის

სამშაბათიდან 25 იანვრიდან ამერიკული კინო-რომანი
მორის ლებლანისა
**წითელი ბეჭედი.**
ეპიზოდი 4 შავი მანტია, 5 საკვირველი ქურდები.
დასასრულ საშინელი სტენოგრაფისტკა.

ანონსი: შაბათიდან 29 იანვრიდან ახალი პროგრამა — წითელი ბეჭედი 6 და 7 ეპიზოდი.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“
თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

სამშაბათიდან 25 იანვრიდან ახალი სენსაციური გამოცვლა სურათებისა
სახელ განთქმულ მსახიობ მ ა რ ი ა მ  კ ა რ მ ი ს მონაწილეობით
**ქალი ამოცანა.**
დრამა 5 ნაწილად.

ანონსი: შაბათიდან 29 იანვრიდან
მხიარული ფარსი მარტო დიდებისთვის
ი უ რ ი  ნ ა გ ო რ ნ ი

## ბათომი, 26 იანვარი.

პროფესიონალური კავშირები მუშების კლასობრივი ორგანიზაციაა. სხვა და სხვა დაწესებულებების და ფაბრიკა ქარხნების მუშა მოსამსახურენი ერთდებიან და ეწყობიან თავ-თავიანთ კავშირებში თავისი კლასიური ინტერესების დასაცავათ. პროფესიონალური კავშირები ებრძვიან დამქირავებლებს და ცდილობენ დაიცვან თავიანთი წევრები დამქირავებელთა უსაზღვრო ექსპლოატაციისაგან. მუშათა კლასის დარაზმვა პროფესიონალურ კავშირებში ქმნის ისეთ ძალას, რომელსაც ანგარიშს უწევს კაპიტალისთა კლასი.

თვით მპყრობელობის დროს პროფესიონალური მოძრაობის განვითარება სუსტათ წარმოებდა, რადგან თვითმპყრობელობა მათ არსებობას ვერ ურიგდებოდა და კავშირთა ზრდაში თავისთვის დიდ საფრთხეს ხედავდა. ამიტომ პროფესიონალური კავშირებს უხდებოდათ ორ ფრონტზე ბრძოლა, ისინი ებრძოდენ დამქირავებლებს, მაგრამ ამ ორ მოწინააღმდეგე ძალთა ქიდილში ერეოდა მთავრობა კაპიტალისტთა სასარგებლოთ და პროფესიონალური მოძრაობა პოლიტიკურ ხასიათს ღებულობდა და ამ რიგათ მუშათა კლასი პოლიტიკური ბრძოლის ფერხულში ებმოდა.

დანიშნულება და მოვალეობა პროფესიონალური კავშირებისა იფარგლება და მას გარკვეული სახე და ელფერი ეძლევა იმის მიხედვით, თუ როგორია ის წყობილება, რომლის დაბლის ქვეშ პროფესიონალური კავშირთა მოქმედება სწარმოებს.

დღეს ჩვენ სამშობლოში ხალხი ბრძანებლობს, ძალა უფლება დემოკრატიის ხელშია და ჩვენ საშინაო პოლიტიკას შინაარს აძლევს დემოკრატიის მოწინავე რაზმი, მუშათა კლასი. ცხადია, მუშათა კლასის და მისი პროფესიონალური ორგანიზაციების დანიშნულება ერთ გვარათ იცვლება. მათ ეხლა ნაკლებ უხდება ბრძოლა პოლიტიკური უკუღმართობის წინააღმდეგ, კაპიტალისტთა უსაზღვრო [illegible] ლაგამს [illegible] მთავრობა იმ კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს მი-

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მშობლები მიხეილ ოქროპირის-ძე და ოლღა ივანეს ასული, ძმა მიხეილ, მამიდა ილლიტი ბიძები გალაქტიონი და პახუმი ოქროპირის-ძენი ბიცოლა ედესია დავითის ასული **ქვემოკლიძეები** აუწყებენ ნათესავთ დაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სტუდენტი
**აფრასიონ ექვთიმე მიხეილის-ძე**
**ქვემოკლიძე**
დასაფლავება მოხდება 26 ამ თვეს სოუქსუს სასაფლაოზე.
მისამართი კამაროვის ქუჩა № 9.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

შმაევსკის თეატრი.
ქართველ სტუდენტთა
ტრადიციული დ ღ ე.
ოთხშაბათი, 26 იანვარი
**გრანდიოზული**
**||| საღამო. |||**
სიტყვა ქართულათ კ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე
სიტყვა რუსულათ გრ. ა ი ო ლ ო
1
**ქალის ძალა**
მხიარული ვოდ. 1 მოქ. ბოლქვაძისა
2
**ცირილი გალ. ტაბიძისა**
ინსცენიროვკა.
3
ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, იუმორი.
სახ. თეატ. ე. ვრონსკი, ნ. აიოლო, ს. ბარტენიევი, ცნობილი მოცეკვავენი მიშა და ფლერი, ტ. ვოლსკაია და მთელი დასი.
[illegible] ივ. ბარნაული. — გრ. ხლუჩაძე.
დღესასწაულის მომწყობი კომისია.

ბათომის ფრონტის
**დამხმარე მთავარი კომიტეტი**
აცხადებს, რომ ყოველ გვარი ფულების თუ ნივთების შეკრება ფრონტის სასარგებლოდ ამიერიდან სწყდება.
კომიტეტი სთხოვს ყველა იმ პირთ, რომლებსაც ხელთ აქვთ სიები თუ წიგნაკები უკანვე დაუბრუნოს ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს, დაწვრილებითი ანგარიშების გამოსაქვეყნებლად.
31 3—3

ელინთა პოლიტიკური კლუბი
═ გ ა დ ა ვ ი დ ა ═
ახალ ბინაზე, სობოროს ქუჩა № 2, პირველი სართული (ინგლისელთა ყოფილი სასამართლო)
3—1 — კლუბის თავმჯდომარე ქ. კოკონდოკული.

მე-4 ქვეითა ათასეული ნიშნავს 26 იანვარს 1921 წ. დღის 12 საათ.
**საჯარო ვაჭრობას**
ათასეულისათვის ხორცისა და სხვა სანოვაგის მოსაწოდებლათ
საჯარო ვაჭრობა მოხდება ათასეულის შენობაში; ცნობების მიღება შეიძლება ათასეულის საბინაო ნაწილში, არტაანის ყაზარმებში ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე.
ვაჭრობა მოხდება დახურულ ბარათებით. საჭიროა ერთი მილიონი საწინდარი.
35 3—3

ქართ. შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების მიერ.
27 ამა იანვარს გაიმართება ჩვეულებრივი
მე-XXVIII
**მუსიკალური ქართული**
**═ საღამო ═**
ცოცხალი სურათებით
დაწვრილებით პროგრამებში.
დასაწყისი 8 საათზე საღამოს

ხელვით, რომელიც მუშათა კლასის სასარგებლოთ და დასაცავათ პარლამენტის მიერ მუშავდება.

რასაკვირველია დღესაც პროფესიონალური კავშირები ფხიზლათ უნდა ადევნებდენ თვალყურს მუშათა კლასის მდგომარეობას, მაგრამ მათ აქ უხდებათ სხვა გზით და სხვა მეტოდით მუშაობა მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ვინემ ეს სჭირდებოდათ ძველ დროს.

დღეს მუშათა კლასი უნდა შეუდგეს მზადებას საზოგადოებრ წყობილების სოციალისტურ საფუძველზე აგებას. ობიექტურ პირობათა გარეშე სოციალური განახლების პროცესში სუბიექტურ ფაქტორს უდიდესი როლი ეკუთვნება, და ჩვენი აზრით პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მუშათა კლასის აღზრდა განვითარებას დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ. სახალხო უნივერსიტეტი, სახალხო კონსერვატორია, მოზდილთათვის სკოლები, სამეცნიერო ეკსკურსიები, ფაბრიკა-ქარხნების დათვალიერება, ტეხნიკური ცოდნის შეძენა ყველა ეს გზა და ხიდია, რომლის გაკეთება მუშათა კლას მისცემს დიდ წარმატებას, გაუფართოებს ცოდნას, შეძენს განვითარებას, აღამაღლებს ზნეობრივათ და შემატებს იმ ძალას, რომელიც თავდები გახდება ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და სოციალური განახლებისა.

პროფესიონალურ კავშირებს ეძლევათ ახალი გზით სიარული, ეს არის გზა კულტურული მუშაობისა და აქეთ უნდა მიმართონ მათ თავისი ყურადღება.

## მოკლე შენიშვნები.

გაზეთები ფრიად სასიამოვნო ამბავს გადმოგვცემენ:

— ამ დღეებში ბათომში დაიწყებს მუშაობას საქართველოს კოოპერატიულ ბანკის განყოფილება

ბანკები!

დღეს ,,ბანკიზმის'' ხანა არის!

— იმერბანკი...

— მეგრ ბანკი...

— ოზურბანკი, .

ასეთია შემოკლებული სახელები ახლათ დაარსებულ ბანკებისა.

საერთოთ საშინლათ გამრავლდა ბანკების რიცხვი.

ეს მოვლენა არ არის ხელოვნურათ გამოწვეული.

ამას ღრმა მიზეზები აქვს და ეს მიზეზები მსოფლიო მრეწველობასთან პირდაპირ დაკავშირებულია

უკანასკნელ ხანებში ჩვენში ბევრს სწერდენ ბანკების მნიშვნელობის შესახებ.

თფილისში ამ საკითხმა შეჯიბრების ხასიათი მიიღო.

დღეს ჩვენში მუშაობს ბანკების ორი ჯგუფი.

კერძო და საზოგადო ბანკები.

კერძო ბანკების მოღვაწეობამ რესპუბლიკაში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია.

წინეთ კერძო ბანკები დიდ სამსახურს უწევდენ ქვეყნის მრეწველობას.

ბანკი მაშინ მძლავრი დამხმარე ძალა იყო საქონლის დამზადების, მრეწველობის დაყენების საქმეში.

ამ მხრივ მას დიდი კულტურული წარსული აქვს და უმადურის სიტყვით ვერ მოიხსენიებს.

მარა ეს იყო წინეთ, რევოლიუციამდე.

დღეს კი მდგომარეობა შეიცვალა.

კერძო კაპიტალი ეხლა ვერ ბედავს წარმოების მოგვარებას, დღეს მსოფლიოს კაპიტალი საზოგადოთ და საქართველოს კაპიტალი კერძოთ მხოლოთ სპეკულიატიურ მიზნებს ემსახურება.

ის ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა გარდამავალი ხანის კაპრიზებმა.

ქვეყნის ეკონომიურმა მდგომარეობამ.

რაც უნდა პატიოსანი და, კარგი კაცი იყოს კერძო მრეწველი, დღეს ის იძულებულია დაადვას თავის ნაწარმოებს ის ფასები. რომლებიც ბაზარზეა დაწესებული. თუ მან საქონელი ნაკლებათ გაჰყიდა,—გაკოტრდება და დაიღუპება.

ბაზარზე კი მხოლოთ სპეკულიაციის ვაკხანალია არის.

ამიტომაც არის რომ კერძო ბანკების მუშაობის ხასიათი დღეს შეიცვალა.

ბევრი მათგანი უკიდურესობამდე მივიდა და რესპუბლიკის მკაცრი ზომებიც სავსებით დაიმსახურა.

ჩვენ არ ვეხებით ერთეულ გამონაკლისებს. არის, რასაკვირველია, ისეთი კერძო ბანკებიც, რომლებიც დიდ სამსახურს უწევენ სამშობლოს ეკონომიურ მდგომარეობას.

ეს საკითხი ახლო მომავალში უნდა მოგვარდეს.

დღეს დღეობით კი ჩვენ დაგვრჩენია მხოლოთ საზოგადო ბანკების იმედი.

საზოგადოებრივი ბანკი ემსახურება საზოგადო ინტერესებს, კერძო ინტერესების წინააღმდეგ.

მის მუშაობაში დაინტერესებულია თვით ხალხი, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით.

ამ ბანკების პირველ რიგში სდგას საქართველოს კოოპერატიული ბანკი,

ეს ბანკი ემსახურება დემოკრატიის ფართე წრეების ეკონომიურ ინტერესებს, ის მუშაობს მხოლოთ ხალხის ნივთიერ მდგომარეობის მოსაღონიერებლათ.

მისი მოგება—ხალხის მოგებაა და ზარალიც ხალხის ზარალია.

და სწორეთ ამიტომ ბათომში კოოპერატიული ბანკის განყოფილების დაარსების არა ,,ბანკობაა'', არამედ ხალხის გარდაუვალი საჭიროება, მისი ინტერესები.

ვის ემსახურება კოოპერატიული ბანკი?

ამ კითხვაზე სწორი პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა ვიცოდეთ, ვინ არის მისი პატრონი, ვის ხელშია მისი აქციები.

საქართველოს კოოპერატიული ბანკი დაარსდა გასული წლის აპრილში. რამდენიმე თვის ადრე დაიწყო მის აქციებზე ხელის მოწერა.

და ჩვენ ვიცით, რომ კოოპერატიულ ბანკის აქციებზე ხელის მოწერა შეეძლოთ.

— მხოლოთ კოოპერატივებს!

ჩვენს საზოგადოებრივ მუშაობით მდიდარ ქვეყანაში აღმოჩნდა ოთხასამდე კოოპერატივი, რომლებმაც შეიძინეს ამ ბანკის აქციები და დღეს ითვლებიან მის ბატონ პატრონათ

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება საინტერესო ცნობები კოოპერატიულ ბანკის თანხების ზრდის შესახებ.

ექვსი თვის განმავლობაში ბანკის ბალანსი თორმეტი მილიონიდან გაზრდილა ოთხმოც მილიონამდე, სახელდახელო ანგარიშები ოთხ მილიონიდან ოცდაათ მილიონამდე და სხვა.

ეს ცნობები ამ ბანკის საქმიანობის საუკეთესო მაჩვენებელია.

ასეთი ჩქარი პროგრესიული ზრდა თანხებისა მოწმობს იმას, რომ როგორც კოოპერატიულ ბანკის ისე კოოპერატიულ ორგანიზაციების ნიადაგი მეტად მტკიცეა ჩვენს ქვეყანაში და მუშაობა ამ ნიადაგზე დაიმსახურებს ნდობას და პატივისცემას.

კოოპერატიული ბანკის ბათომის განყოფილებას მიზნათ დაუსახავს კოოპერატიული მოძრაობისათვის დახმარების აღმოჩენა ბათომის ოლქში.

კოოპერატივთა კავშირი უკვე შეუდგა ორგანიზაციების დაარსებას ზემო და ქვემო აჭარაში.

კოოპერატიული ბანკის დახმარებით ბათომის ოლქში ხალხი წელში წამოდგება, ის მიიღებს თვითმოქმედების საზოგადო მუშაობის პირველ გაკვეთილს.

ასეთი საქმეები ხელს შეუწყობს ორ მოძმეთა დაახლოებას და განამტკიცებს მათ შორის ძმობა ერთობის გრძნობას.

კოოპერაცია-ხალხის თვითმოქმედების უდიდესი სკოლა არის, რომელიც ასე უკიდურესათ საჭიროა კულტურულათ ჩამორჩენილ აჭარისათვის.

კოოპერატიული ბანკი წინამძღოლობას გაუწევს ამ სკოლას და ქეშმარიტი საქმით გააცხოველებს სიყვარულს ჩვენსა და აჭარლებს შორის.

მხურვალე სალამი კოოპერატორების განზრახვას!

კეთილის გულით, აღტაცებული გრძნობით და ცახმარებით მიეგებება ბათომის საზოგადოება მათ მუშაობას.

ა. ფირცხალაიშვილი.

## სტუდენტის დღესასწაული.

სამი წლის ისტორია აქვს ქართველ სტუდენტს

პოლიტიკურად განთავისუფლებულმა სამშობლომ 1918 წ. 26 იანვარს ერის მოზარდ თაობას თბილისში საკუთარი უნივერსიტეტი გაუხსნა.

1918 წ 26 იანვრიდან პირველად ჩამოირეკა უმაღლეს კულტურის და მეცნიერების ზარი დედა ქალაქში

უნივერსიტეტი ხალხის გონებრივი და კულტურული საწინდარია.

სტუდენტობა ერის უკეთეს მომავლის მჭედველია.

სტუდენტი სპეტიო პირია, ის უნდა მოესწროს დედა სამშობლოს და თავის სწავლით და ერთგულებით გაახაროს იგი.

სტუდენტმა უნდა დაისწროს განახლებულ საქართველოს დღიური, სტუდენტი უნდა იყოს მაღალ იდეალებისთვის მოწოდებული.

არსებულ მდგომარეობაში სამწუხაროდ ქართველმა სტუდენტმა სასურველად და ღირსეულად ვერ გამოკვეთა თავისი პიროვნება.

იგი გაითქვიფა ყოველ დღიურ ცხოვრების საწარეში, სამსახურში და დეპარტამენტებშია გამომწყვდეული სტუდენტი ლუკმა პურის საძიებლად.

ასეთი ყოფა თავის თავად ცხადია შლის სტუდენტის ტრადიციულ ოჯახს და საკუთარ წრეს ენერგიას უკარგავს.

სტუდენტი მეცნიერების ზიარების ნაცვლად ცხოვრების ჩვეულებრივ სიდუხჭირეში ეფლობა, რის გამოც აგერ მესამე წლის თავია და ჩვენ კიდევ არა გვყავს საკუთარი სტუდენტის ტიპი, მაღალ იდეალებით აღგზნებულის ყოველ გვარ ანგარიშის გარეშე მდგომარის.

სტუდენტების ხანა ერთგვარი აღმზრდელი პერიოდია ახალგაზრდისა და მისი განცდა გვიცა იმისა, რომ ტკბილია უაღრესად სასურველია.

ფაქიზად აღზრდილი ყრმა უნდა ევლინებოდეს ჩვენ ცხოვრებას.

ამ უქმეზე ჩვენ ვუსურვებთ ქართველ სტუდენტს ძლიერ საკუთარ ოჯახის შექნას, მეცნიერების დარგში მეტ მუშაობას, სწავლის დროს ღარიბაც ყოფნის რჩევას ვიდრე ახლავე კანცელარიებში და მილიციებში ,,მოღვაწეობის'' დაწყებას.

ქართველ სტუდენტობას ჩვენ ვეძახით უნივერსიტეტისკენ, სწავლისკენ, თავისებურ სახის ჩამოქნისკენ...

დღეს უნივერსიტეტის გახსნის მესამე წლის თავზე რაც ქართველმა სტუდენტმა თავის უქმედ გაიხადა მივესალმებით ჩვენ მას და ვუსურვებთ რომ მას მაღლა ეჭიროს სტუდენტობის ფაქიზი სახელი, წინათ თუ ცივ რუსეთში იჩენდა თავს იდეალური მისწრაფებებით, ახლა თავისუფალ სამშობლოში უფრო ლამაზი და შინაარსიანი უნდა იყოს მისი სახე

ეროვნული სტუდენტის ტიპი გვჭირია ჩვენ.

სტუდენტებო სამსახურიდან უნივერსიტეტისკენ თქვენი წრე გონების ახალ ახალ წმინდა გრძნობებს უნდა უშლიდეს თქვენ მშობელ ერს.

თქვენი ხმა უნდა ახარებდეს ხალხს.

გაუმარჯოს ქართველ სტუდენტს

სადღეგ, 26 იანვარს.

ი. იმერელი.

## უცხოეთი.

### საბერძნეთი.

კონსტანტინოპოლის გაზეთების გადმოცემით ბერძენთა ჯარში მცირე აზიის ფრონტზე გახრწნა დაიწყო. უკანასკნელი შეტევა სხვ. შეხორის მიმართულებით მარცხით დამთავრდა. ამ უკანასკნელ შეტევით ბერძნებს სურდათ ემოქმედათ მოკავშირეებზე და სევრის ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხი ოსმალეთის სასარგებლოთ მოეხსნათ.

### პოლონეთი

პოლონეთის დიპლომატია მოლაპარაკებს აწარმოებს იაპონიის მთავრობასთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ. აგრეთვე ცდილობენ სამხედრო კავშირიც შეკრან იმ შემთხვევისთვის, თუ რუსეთი პოლონეთზე თავდასხმას მოახდენს.

### პარიზი

რუსეთის დამფუძნებელი კრების კონფერენციამ აირჩია კომისია ცხრა კაცისაგან, რომელთაც ევალებათ კონფერენციის დადგენილების სისწორით ცხოვრებაში გატარება.

### ირლანდია

დუბლინში ტერორისტული აქტები ინგლისის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ახალი სიძლიერით განახლდა. ტერორისტები იჭრებიან სახლებში დახოცავენ ოფიცრებს.

### პარიზი

ბრიანმა ინახულა გერმანიის ელჩი. ,,ჟურნალი დე დება'' იუწყება, რომ ბრიანის დარბაზობას არავითარი განსაკუთრებული მიზანი არ მიეწერება. ეს იყო უბრალო თავაზიანობა.

## სტამბოლის ცნობები.

— ანატოლიაში მოკავშირე საზღვაო კონტრაგენტებმა უკვე დაიწყეს მუშაობა აზ ,,ბოსფორის''

აზრით ოსმალეთთან გა[...] უფრო სადღეგრძელო [...] სავაჭრო ურთიერთობის [...] ვიდრე [...]

— ქემალის ბრძანებით ქურ[...] ლაზთა და სხვა ნარევი რაზ[...] სასწრაფოდ გადიყვანეს სმირ[...] ფრონტზე.

— ტრაპიზონის ბერძენთა ცნ[...] ბით ქემალ ფაშას ჯარში სმირ[...] ფრონტზე ღალატს ჰქონდა ადგილ[...]

— საფრანგეთის გენერალ[...] შტაბი სამხედრო სამინისტრის ბრძა[...] ნებით აცხადებს რომ საფრანგეთ[...] აგროვებს უცხო ეროვნებათა ლეგიო[...] ნებს 5 წლის ვადით ახალ შენებ[...] სამსახურის გასაწევათ.

— საფრანგეთში მცხოვრებთა რ[...] ცხვი ჩვეულებრივად მცირდება ს[...] ფრანგეთის მეომარ ხელის დიდ[...] ნაწილი დაავამტყუფებულ და და[...] ხიჩრებულია რის გამოც საფრანგე[...] თი იძულებულია უცხო ლეგიონე[...] ბი მოიწვიოს სამსახურში.

## შავი ზღვის რადიო

ბოლშ. ცნობები.)

— გაიხსნა ყირგიზთა ყრილობ[...] თურქესტანში. საპატიო თავმჯდომა[...] რეთ არჩეულია ლენინი. პირ[...] რიგის საკითხებად დასმულია მიწ[...] ლა ეროვნული საკითხი.

— სომხეთში ქემალისტების [...] სომხების დამოკიდებულება მეტა[...] გამწვავდა.

,,მენშევიკების გმირობა''.

— ქართველ სოციალ გამცემლ[...] ბმა გარეკეს ც. კ. საქართველო[...] კომუნისტური პარტიისა, ციხეში [...] ყარეს ყველა კომუნისტები, დაჭ[...] ტეს კომუნისტური ბეჭდითი ორ[...] განოები.

## ახალი ამბები,

— ქალაქის საავათმყოფოს მოსა[...] სახურეთა დასაკმაყოფილებლათ 1-15 იანვრამდის საავათმყოფოს უფ[...] როსი ექიმი მოითხოვს გამგეობისა[...] გან: ძაბალ მოსამსახურეების და[...] საკმაყოფილებლათ 325,710, დანა[...] რჩენთათვის 176162 მან. ქალ. ლა[...] ბორატორიის პერსონალის დასაკმა[...] ყოფილებლათ 25176 მან.

— ახალი წიგნი. ქ. თფილისი[...] პირველ დაწყებითი სკოლების რ[...] მასწავლებლებმა გამოსცეს ახალ[...] წიგნი ,,ჩვენ ბავშვებს''. წიგნი ღი[...] 200 მან. კომისიამ ქ. ბათომის თვ[...] თმართველობას მიმართა წინადად[...] ბით შეიძინოს წიგნი პირველ დაწ[...] ყებითი სკოლებისათვის.

— ქ. ბათომის მცხოვრებთა აღ[...] წერა მომავალი საქალაქო არჩევ[...] ნებისათვის დაიწყება იანვრის[...] დამლევს და გაგრძელდება სამი დღ[...] აღწერის მოსახდენათ ქალ. გამგე[...] ბა იწვევს 80 აღმწერლებს.

— 5 უბნის კომისარი კაპიტან[...] თოხაძე თანახმათ მისი თხოვნისა გა[...] ანთავისუფლეს სამსახურიდან. კომი[...] სრის მოვალეობის ასრულება და[...] კისრა კომისრის თანაშემწეს ბ. ბაქ[...] რაძეს.

— პელმენში მოვალეობის ას[...] რულების დროს დასჭრეს პირველ[...] უბნის კომისარ მეფარიშვილი. მისი[...] მოვალეობის ასრულება დეკის[...] აფაქიძეს.

— მილიციის უფროსმა წინადა[...] დება მისცა უბნის კომისრებს წა[...] მოუდგინონ მას სია უმუშევართა[...] რომლებიც ჩაწერილნი არ არიან[...] პროფესიონალურ კავშირებში.

— ბათომის მაზრის კომისრის [...] განკარგულებით ციხეში მოათავ[...]

ერთი თვის ვადით კონტრიბუციის რიონის ² ჯხოვრებნი ვასილაძე, სულეიმან მაკირ ოღლი, მახმედი და ხან ტომაზ-ოღლი, როგორც მავნე ირები.

თბილისი. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო და დაამტკიცა ის ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს ეკონომიური დელეგაციის მეთაურმა კანდელაკმა დასდო იტალიის სამრეწველო საზოგადოება „ილიკა“-სთან ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების შესახებ.

თბილისი. თბილისში ჩამოვიდა ანატოლიის ფრონტის მთავარსარდალი ალი-ფუად ფაშა, რომელიც მიემგზავრება მოსკოვში იქ მოწვეულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებათ. ამ კონფერენციაზე სხვა საკითხთა შორის დაისმება კავკასიის, კერძოთ სომხეთის, საკითხი სომხეთის წარმომადგენელათ ინიშნება ბექზადიანი. გადმოგვცემენ, რომ საქართველოს წარმომადგენლის მონაწილეობაც სასურველათ არის ცნობილი.

მილიციის უფროს ლელე [?] ფონოგრამით შეკითხვა მიუცია ურ [?] ნის კომისრებისათვის წარმოადგინონ ცნობები იანვრის განმავლობაში მომხდარ ბოროტ მოქმედების შესახებ, მერთხე უბნის კომისარმა ცნობა, რომ ორი თვის განმავლობაში მას შეუპყრია ქურდობისათვის და ყაჩაღობისათვის ოცდა ჩვიდმეტი კაცი და უსაქმურათ მოხეტიალე ოთხმოცდა ოთხი კაცი.

ბათომის განსაკუთრებული რაზმის უფროსისაგან.

რადგანაც უკანასკნელ ხანებში გახშირდა ქ. ბათომში სხვა და სხვა საეჭვო პირების მიერ განსაკუთრებული რაზმის თანამშრომლების სახელით საჩხრეკების [?] გავლობა, განსაკუთრებული რაზმის უფროსი თხოვს მოქალაქეებს რომელთაც მიმართავენ ამა თუ იმ საქმისათვის რაზმის სახელით, მოითხოვონ პირადობის მოწმობა, ფოტოგრაფიული სურათით, ხელის მოწერით და განსაკუთრებული რაზმის ბეჭედ დასმული. ისინი, რომელთაც ასეთები არ ექნებათ, ან უარს განაცხადებენ მოწმობის ჩვენებაზე ან მოქალაქეთა ეჭვი შეეპაროთ მოწმობის სინამდვილეში, დაუყოვნებლივ შეატყობინონ პოსტზე მდგომ მილიციონერს რაზმში ან ახლომდებარე კომისარიატში წარმოსადგენათ, მილიციონერის სახელისა და გვარის ჩაწერით.

გაჩხრეკისა და დაჭერის დროს აუცილებლად უნდა მოითხოვონ პირადობის მოწმობა, ორდერი და დასწრება ადგილობრივი კომისარიატის წარმომადგენლისა, ურომლისოდაც დაჭერა და გაჩხრეკა არ იქნეს დაშვებული, ეცნობოს რაზმში ტელეფონით 105 და 121, აგრეთვე ქალაქის მილიციის უფროსს და ადგილობრივ კომისარიატს, იმ დრომდე სანამ ზემოხსენებულ პირთაგან ვინმე არ მოვა; მოსული პირი შეჩერებულ ნას.

მოქალაქეები ასევე იქცევიან თუ იქ ორდერის ან პირადობის მოწმობის სიყალბეს შეამჩნევენ.

რაზმის უფროსი ი. ჯანელიძე.

## მკვდარი ქალაქი.

(შთაბეჭდილება)

მახსოვს ქუთაისი როცა იქ მედგრად სჩქეფდა ქართული ცხოვრება.

რუსიფიკაციის ძლიერ ხანაში როცა თბილისში ქართული ენის გაგონება გენატრებოდათ ქუთაისი მარად ქართული ქალაქი იყო.

პოლიტიკურ პარტიებს ქართული თეატრს და ქართულ საზოგადოებრიობას უკეთესი ასპარეზი ქონდათ ქუთაისში.

ჩვენი ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო კაცები იმ დროს ქ. ქუთაისში იყვენ თავმოყრილნი ქართული პრობლემები უმთავრესად ქუთაისში ისახებოდენ და ვრცელდებოდენ იდეურ გატაცებით მომუშავე ჯგუფებისგან. ქუთაისი ინახავდა ქართულ სულს, ქუთაისი ეროვნული ცენტრი იყო მაშინდელ საქართველოსი ქართველი ინტელიგენტები ქართულ ქალაქის სანახავად ქუთაისში მიემურებოდა, ქუთაისი ქართულ სევდის ქალაქი იყო. ქუთაისს ვერ ეკარებოდა გადაგვარების ქარიშხალი, ქუთაისი ყველას უყვარდა და მას საქართველოს ცხოვრებაში უპირველეს ადგილს უთმობდა.

პესიმოსტები საქართველოს ყოფის უიმედო მაცქერალნი ქუთაისში ჰპოებდენ სულიერ სიმშვიდეს და ბაგრატის კოშკში აფრქვევდენ ტკბილ მოგონებათა ცრემლს...

ქუთაისი ქართველი ერის საიმედო ქალაქი აუღებელი ციხე იყო იქ რიონი ფაფარ აყლექილი ინახავდა ძველ შნოს და ქართულ სახეს.

ასე იყო მაშინ, როცა საქართველო თვითმპყრობელ რუსეთის მონა იყო, ვინ იფიქრებდა, რომ განთავისუფლებულ საქართველოში ასე გაიყინებოდა და მოკვდებოდა ქუთაისი. განსაცვიფრებელი ამბავია! ქუთაისში აღარავინ დარჩენილა. ქალაქი მომკვდარა იგი იმ ქაჯად მილიციის ხელშია, არც ერთი საზოგადო მოღვაწე რომლებიც აქ მქუხარებდენ რევოლიუციის პირველ ხანებში დღეს აქ აღარ არიან.

ინტელიგენცია მრავალ რიცხოვანი ინტელიგენცია, რომელიც დამახასიათებელი მოვლენა იყო ქუთაისისა დღეს სადღაა, მიყრუებული ჩაბნელებული და უსუფთო ქუჩები, შუა ქალაქში დაჟანგული რკინის გზი რომელიც დაიწყეს და მიატოვეს.

გაციებული და მკვდარია იმერეთის დედა ქალაქი ქუთაისი.

და ეს იმ დროს როცა ქუთაისი ზედმეტად უნდა გამოცოცხლებულიყო, და ყველაფერი ეს ხდება იმიტომ რომ საშიშ ქართული ცენტრალიზმის წყალობით ყველა ქალაქები გარდა თბილისისა პროვინციად არის ღსარებული და იქ გარდა ადმინისტრაციის წევრისა თვით საშუალო ინტელიგენტიც არ იცდის.

საქართველოს ინტერესი კი ვერ უნდა ითმენდეს ასეთ ცენტრალიზმს.

კულტურულად ჩვენ დეცენტრალისტები უნდა ვიყოთ.

ქართული კულტურა მარტო დედა ქალაქში კი არ უნდა იყოს ჩაბუდებული არამედ ის განაწილებული უნდა იყოს მთელ საქართველოში.

თბილისის მრავალ სასწავლებელთა შორის (უმაღლესი თუნდა სამხედრო ტიპის) რამდენიმე ქუთაისში რომ გადატანილიყო ამით ქუთაისს მეტი სიცოცხლიანობა ექნებოდა და ისედაც გაჭედილ თბილისისთვის ყოველ მხრივ სასურველი იქნებოდა.

მცირე საგაზეთო შენიშვნაში ძნელია ყველა იმის გარკვევა, თუ როგორ უნდა გამოცოცხლდეს ქუთაისი მაგრამ ამ კითხვის დასმა კი აუცილებელია.

მეტი დაყოვნება ჩვენ იმ მდგომარეობამდე მოგვიყვანს, რომ ჩვენი ისედაც მოუწყობელი ქალაქები სრულიად გასოფლდებიან და ხელში შევრჩება მხოლოდ ერთი თბილისი.

მივხედოთ იმ ქალაქებს, რომლებიც ახლა მეორე ხარისხოვანათ იწოდებიან, მაგრამ ახლო წარსულში ქართული ცხოვრების ძლიერი ფაქტორები იყვენ, გავაცოცხლოთ უმთავრესად [?] ქუთაისი სადაც ჩვენ მუდამ ვფიქრობდით ქართულად და ვგრძნობდით ეროვნულ მაჯის ცემას.

ირაკლი.

23 იანვარი
ქუთაისი

## ბერძენთა ეროვნული საბჭო.

ბათომში არსებობს ერთი ქველმოქმედი საზოგადოება რომელიც თავის თავს უწოდებს ბერძენთ ეროვნულ საბჭოს. ეს საბჭო არჩეულია 200 კაცისაგან ერთ ერთ კრებაზე და მის არჩევაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ბერძნის ხალხს ბათომისა და მისი ოლქისას უკეთ რომ ვსთქვათ ამ ხალხს არ უსარგებლნია დემოკრატიულ საარჩევნო უფლებით და არც ხსენებულ საბჭოს უცნობებია საქართველოს მთავრობისთვის თავის არჩევის შესახებ. ეს საბჭო დაარსებულია ინგლისელების და დენიკინელების დროს, როცა საარჩევნო წესის გატარებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მას შემდგომ განვლო უკვე 8 თვემ, ამ საბჭოს საშვალება ჰქონდა ხელმეორე არჩევნების დემოკრატიულ ნიადაგზე მოხდენისა მაგრამ ეს მას არ უქნია, მას წინად მრავალ რიცხოვან ბერძენთა ყრილობაზე რომელზეც მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა ექიმმა ფაშალიდიმ ეს საბჭო არ იქმნა ცნობილი ბერძენთა ეროვნულ საბჭოთ და იგი თითქმის გადაყენებულად იქმნა გამოცხადებული ეს საბჭოც დაჰპირდა მაშინ საზოგადოებას რომ რამდენიმე დღეში დანიშნავდა ახალ არჩევნებს, მაგრამ ეგერ [?] და ასეთი არჩევნები არ დაუნიშნავთ რაც ჩვენში განცვიფრებას იწვევს. დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხს არ უნდა წაერთვას საარჩევნო უფლება და მან თვით უნდა აირჩიოს თავის ეროვნული საბჭო. საკუთარი [?] და თავის ნებით არჩეულმა საბჭომ ადგილი უნდა დაუთმოს ხალხის მიერ საარჩევნო წესით ფარულ და პირდაპირ ხმის მიცემით არჩეულ საბჭოს. დროა არის საბჭოს წევრებმა პირობა შეასრულონ თორემ უხერხულია „უმანდატოთ“ ხალხის სახელით ლაპარაკი.

ბერძენთა ერთი ჯგუფი.

## მუშათა ცხოვრება.

### ფარმაცევტების კავშირში.

აფთიაქში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ თავის სხდომაზე დაადგინა, რომ პირველ რიგში ადგილზე გაგზავნონ კავშირის ის წევრები, რომელნიც ითვლებიან საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებათ და კავშირის საქმეები აწარმოონ ქართულ ენაზე.

ამ ოკლე ხანში თბილისში მოწვეული იქნება საქართველოს რესპუბლიკის აფთიაქებში მოსამსახურეთა კონფერენცია, რისთვისაც ბათუმის აფთიაქების მოსამსახურეთა კავშირის წევრების საერთო კრებამ აირჩია თბილისში გასაგზავნი დელეგატები.

### ლითონზე მომუშავეთა კავშირში.

ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის პრეზიდიუმმა ცნობა დაუგზავნა ყველა წევრებს, რომ თანახმად გამგეობის დადგენილებისა, უნდა მოხდეს კავშირის წევრების ხელ-ახალი რეგისტრაცია, ნამდვილი წევრების რაოდენობის გამოსარკვევად

## ერთი კვირით ფრონტზე.

### II.

...დავწევით, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა: შვეიბის ნაამბობმა მოსვენება დამიფრთხო. ჯერ ოსმალოს ჩეთნიკებმა ააწიოკეს ეს მხარე, შემდეგ ხმა დავარდა, რომ ყაზახრუსები მოდიან და ყველაფერს ცეცხლსა და მახვილში ჰხვევენო. შეშინებული ხალხი აიყარა და ჩეთნიკებს ოსმალეთში გაჰყვა. ყველაფერი სიმდიდრე, სარჩო საბადებელი, მთელი მოსავალი და ნაჭირნახულევი მიატოვა, ვინ საბანიც ვერ წაიღო ბევრმა და აქ დაიწყო ხალხის დიდი ტრაგედია! სტუმართ-მოყვარეობის წილი ოსმალეთში ბევრმა ნახეს გაუტანლობა და სისაწყალე: ოსმალოს თავი უჭირდა მაშინ და ლტოლვილებს აბა რას დაეხმარებოდა! დაიხოცა ხალხი შიმშილით და სიტიტვლით! დაწყდა ურიცხვი ბავშვები! ოსმალოს მთავრობის მხრით დახმარება—ზღვაში წვეთი ამოჩნდა! მუსულმანთა ლეგიონი შესდგა ანატოლიის ნაპირებზე; ზოგი იქ ჩაეწერა და თავი შეაფარა, ხოგსაც ამ ლეგიონმა გაუწოდა დახმარების ხელი და შიმშილი ლტოლვილს გადაარჩინა ბევრი ლტოლვილი ოჯახი. დღესაც არ დასრულებულა ეს წამება, როგორც შვეიბი ამბობს. ახლაც მრავალი ლტოლვილი არის ანატოლიის ნაპირებზე და ელოდება, თუ როდის ეღირსება უკან, ჩვენს ქვეყანაში, დაბრუნებას. ვინ იცის, მიიტანებენ კი სულს ამ ბედნიერ დღემდე!

სეიდმა მითხრა ჩუმად: შვეიბს ნახევარი ოჯახობა ოსმალეთში დაურჩა; აქ, კინცხურეთში, სასიმინდე გადარჩენილა და ნახევარი ქალი და ბალნები ამ სასიმინდეში შეაფარა, ნახევარის მოყვანას კი ახლო ცდილობს. აი, ეს ხეებიც მისი არის: ახლა ხან ჩამოატანინა და უნდა სახლი აიშენოსო. ასეთი იყო ამ სამწუხარო მოთხრობის ნაწყვეტები. მართლაც, ვფიქრობდი მე, რა ღვთის რისხვა ეწია ამ კუთხეს!

მიდიხარ ჭოროხის პირად: ხედავ, აქ ხალხს უცხოვრია, უშენებია, ურგავს, უხნავს-უთესია. ამ საშინელ ომის დროს კი სკვითელთა შთამომავლობას აქ ყველაფერი გაუნადგურებია. სახლები ზოგი დაუწვავს, ზოგი დაუნგრევია, რისი წაღებაც შესაძლო იყო, წაუღიათ, საქონელი დაუკლავთ და შეუჭამიათ და გაუპარტახებიათ მხარე, სადაც სიცოცხლე სდუღდა, დღე ნათელი და ყვავილოვანი იყო, ახლა კი მხოლოდ პარტახი მოსჩანს, სადაც ჩუმათ, დამფრთხალი მზეცივით, მოიპარება პატრონი და ეძებს ძველ ნამოსახლარს. „თუ ქართველი ქრისტიანი ჩვენ არ დაგვეხმარა, ისე ვერას გავხდებით, ბატონო“, მითხრა შვეიბმა: „ხელი თუ ხელს არ დაჰკარი, ისე ტაში არ დაიკვრება; ცალი ხელი ხმას ვერ გამოსცემს, რამდენიც არ უნდა აქაონო, და ვერც ჩვენ მარტო ვერას გავხდებით! ჩვენ კიდევ გვაქვს თქვენი იმედი“. ეს სიტყვა იოსებს მოეწონა. „ბიჭო, ეს ნამდვილი გურჯი ყოფილა, თუმცა გვარი კი გაჰვიწყებიათ“, მითხრა იოსებმა.

ეს ასეც არის, ოღონდ შვეიბი მაშინ იწამებს ჩვენს სახელმწიფოებრივობას, ჩვენს შემოქმედებას და სიცოცხლეს, თუ მასაც რაიმეს ვუშველით და ფერფლისა და ნანგრევებისაგან აღვადგენთ დანგრეულ კუთხეს, ამას კი ბევრი დრო და შრომა დასჭირდება...

დილა ადრიან გაუდექით ბორჩხისკენ, აი, სოფელი კლასიკური გვიარეთ გადმა გორაკზე ოთხკუთხი ნანგრევი მოსჩანს; სახურავი ჯერ კიდევ მთელია; პატარა ეკლესია ყოფილა. ძირს პატარა მდინარე ჩაურბის; ზედ თაღიანი ქვის ხიდი არის, ხალხი ახლაც გადი-გამოდის ზედ. დროთა და ჟამთა მსახვრალ ხელს ამ ხიდისთვის ვერა დაუკლია რა; მის გარშემო კი თითონ კლდოვანი ბუნება არა ერთხელ შერყეულა დაშლილა და ფერი უცვლია. ასე მკვიდრად უშენებია ოსტატს ეს თაღიანი ხიდები თქვენ გაკვირვებთ და ვერ აგიხსნიათ თუ რა გვარი დუღაბი უნდა იყოს იქ ნახმარი, რაც ასე მკვიდრად იჭერს ქვებს საუკუნეთა განმავლობაში, ან რა მათემატიკური ანგარიშით მიაწყვეს ერთმანეთს ქვები, რომ ისინი ერთი მეორეს იჭერენ და ძირს არ ეცემა ნაშენი!

მივუახლოვდით ბორჩხას სამიოთხი ვერსი დაგვრჩა, ვხედავთ: რაზმის უფროსი მაიორი ალი-ამაშუყელი ჩვენს შემოსაგებებლად წამოსულა.

„შიში ჩაგვივარდა, ღამე ხომ არა გეწიათ რა გზაში, გუშინ მოგელოდითო“.

ჩვენ ძალიან გვახნევებს ამაშუყელის ასეთი მოკითხვა. ჩვენი დაგვიანების მიზეზი იყო „ალბიონის“ „ავადმყოფობა“. ბორჩხაში მთელი რაზმი დაწყობილი დაგვხვდა, სამხედრო სალამით შეგვხვდენ. ჯარისკაცთა და აფიცერთა სწორედ დღესასწაული დაუდგათ. თურმე კარგა ხანია გველოდენ და მთლად არც კი სჯეროდათ, თუ მოვიკითხავდით საჩუქრების სიუხვეს ამბობდენ, უფრო მეტად კი ის უხაროდათ, რომ გაზეთები და სალამი მიუტანეთ შინ დარჩენილთაგან. მივესალმეთ, საჩუქრები დავარიგეთ შუადღე გადავიდა, საქმე მოვათავეთ ისევ დაეწყო ყველა, წინ რაზმის უფროსი ამაშუყელი წარმოსდგა და მგრძნობიარე სიტყვით მადლობა გადაგვიხადა დაუსრულებელი ვაშას ძახილით დაიფარა კომანდირის სიტყვა. დალოცვებმა გავსწიეთ აფიცერთა სადგომისკენ. აფიცრებს ჩვენთვის ჩინებული სადილი მოემზადებინათ.

საიდანაც არ იყო ღვინოც კი გაეჩინათ.

„ქართველი ყველგან ქართველად უნდა დარჩესო“, ამბობს იოსები, „ღვინოც კი მოუნახავთო“. ხვალ დილას მოწინავე სადარაჯოებისკენ წავალთ.

(შემდეგი იქნება)

რეგისტრაცია დაიწყება 20 იანვრიდან და გაგრძელდება 20 თებერვლამდე, რომელიც სწარმოებს ყოველ დღე 4 საათიდან საღამოს 8 საათამდე და კვირა უქმე დღეებში 11 საათიდან შუადღის 1-ლ საათამდე.

ყველა წევრი ვალდებულია იქონიონ თან კავშირის წიგნაკები და გამოცხადდენ რეგისტრაციისათვის აუცილებლად. ვინც აღნიშნული დროს განმავლობაში არ გამოცხადდება, ის ჩაითვლება თავისი ნებით კავშირიდან გამორიცხულად და კავშირი მიიღებს ყოველივე ზომებს რომ ისინი მოხსნილ იქმნან ადგილიდან და მათ მაგიერ დააყენონ სამუშაოზე ნამდვილი კავშირის წევრები, რომელნიც პირნათლად ასრულებენ ყოველივე კავშირის წესდებებს. აგრეთვე თავის ნებით გამორიცხულად ჩაითვლებიან თანახმად წესდების მეშვიდე მუხლისა ის პირნიც რომელნიც ექვსი თვის განმავლობაში არ გადაიხდიან საწევრო გადასახადს.

ყველა ქარხნის კომიტეტებს ევალება აცნობოს გამგეობას ვინაობა იმ წევრისა, რომელიც არ ასრულებს კავშირის წესდებას და არ იხდის საწევრო ფულს, რათა გამგეობამ მიიღოს ზომები მათი ადგილიდან მოხსნის შესახებ.

კავშირის გამგეობა მოუწოდებს თითბერის მოძეელეებს, მესათეებს, მექუსტეებს, მესპილენძეებს და აგრეთვე ყველა იმ ამხანაგებს, რომელნიც ლითონზე მუშაობენ, ჩაეწერონ ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში და ჩამწკრივდნენ ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშათა რიგში თავის ინტერესების დასაცველად.

**სცენის მოყვარეთა კავშირში.**

ოთხშაბათს, 19 იანვარს, საღამოს 5 საათზე, მუშათა სასახლეში შესდგა სცენის მოყვარეთა კავშირის დრამატიული სექციის წევრთა საერთო კრება. კრებამ სექციის თავმჯდომარედ აირჩია კულიშერი და გამგეობის წევრად დამასკინა, ზდანევიჩი, კომარსკი და ლენჩევსკი. მათ კანდიდატებათ ლიუბლინსკი და ლიუზიამირსკი.

სცენის მოყვარეთა კავშირის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის შემდგენელ კომისიაში დრამატიულმა სექციამ აირჩია სანიკაძე.

**სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირში.**

სავაჭრო-სამრეწველოს მოსამსახურეთა კავშირის გამგეობას მიერ მიღებულია ზომები კავშირის 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშისა, დელეგატთა ყრილობის მოწვევისა, საავადმყოფო კასაში წევრების ჩარიცხვისა, რესპუბლიკის ყველა სავაჭრო-სამრეწველოს კავშირების მთავარი ცენტრის დაარსების ცხოვრებაში გატარების შესახებ. გამგეობამ გადასწყვიტა აგრეთვე გამოიმუშაოს გეგმა მოსამსახურეების პირობების გაუმჯობესების შესახებ და გააძლიეროს უმუშევართა დახმარების ფონდი.

ედელსონის მაგივრად საბჭოში წარმომადგენლად გამგეობამ აირჩია სისეოკოვი და ამასთან რადგანაც კავშირის წევრთა რიცხვი გაიზარდა 530-მდე, მეექვსე წარმომადგენლად საბჭოში არჩეული იქმნა ამხ ბელოუსოვი.

**ინჟინერ-ტექნიკოსთა კავშირში.**

სამშაბათს, 25 იანვარს, საღამოს 5 საათზე, მუშათა სასახლეში დანიშნულია ხელმეორედ თათბირი ბინის საკითხის შესახებ.


საღვინე გასტრონომიული მაღაზია

# იუილდება

დაწმენდილ დაცდილი ღვინოები, იამაის რომი, კონიაკი „IMPERIAL“

და სხვა სასმელები მაღალი ღირსებისა

სავაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.

25—9


რადგანაც საკითხი მეტად რთულია და წინანდელმა თათბირმა გამოწვეულ ცხარე კამათისა და მცირე რიცხოვნობის გამო ვერ შესძლო ამ საკითხის მოგვარება და რაიმე გადაწყვეტილების გამოტანა, საჭიროა რაც შეიძლება მეტი წევრები დაესწრონ ამ თათბირს, რომ შეძლება მიეცეს კავშირს რაიმე ზომების გამონახვისა ბინების საკითხის შესახებ, რომელსაც თხოულობს ასეთი მწვავე საკითხის გადაწყვეტათა დიდი მნიშვნელობა აქვს ბატონის მცხოვრებლებისთვის.

## დაბა ქობულეთი.

დაბა ქობულეთი ისეთი ადგილი არის, რომელსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კულტურულათ წინ წავიდეს.

აქ არის სხვა და სხვა დაწესებულებები, როგორიც არის კოოპერატივი და სხვა. სიძვირე აქეთაც დიდია, თუმცა კარგი არ ყოფილა ზოგიერთი აქაური მცხოვრები სიმინდს მოეზიდება ნოტანებიდან და სხვა ადგილიდან უფრო შეღავათიან ფასებში. ადმინისტრაციის მიერ დაპატიმრებული ზოგიერთი პირები, რომელთაც ბრალდებოდათ საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები, განთავისუფლებულ იქმნენ; ამბობენ, რომ ჯერჯერობით მათ შეაჩერეს ძველი დამღუპველი გზით სიარული.

ქობულეთში დაარსეს სცენა მიზნებით; სცენის დაარსების შემდეგ კარგი იქნება თუ რძალულ იქმნებოდეს ქობულეთში რომელიმე კერძო პიროვნების მიერ საღამო—წარმოდგენების გამართვა საქველმოქმედო მიზნებით რომლის შემოსავალი კერძო პირთ მიექცეთ, კარგი იქნება ქობულეთში დაარსდებოდეს მუდმივი დრამატიული წრე, რომელიც გამართავს სახალხო წარმოდგენას, ასეთი წრე როგორც ვიცით მალე შესდგება და მთელი ქობულეთის დაინტერესებული ახალგაზრდობა გვერდში ამოუდგება.

ამ უკანასკნელ ხანებში აქ გამართეს წარმოდგენა—საღამო სცენის მოყვარეთა ერთმა ნაწილმა, სადაც ბათომიდან მოყვანილ იქმნა სამხედრო ორკესტრი. ამ სცენის მოყვარეებმა ქობულეთში მდგომ ჯარს უნდა გამოუწერონ გაზეთები. დიდი მადლობის ღირსი არიან განსაკუთრებით საღამოს გამართვის ხელის შეწყობაში: კაპიტანი ბაგრატიონ მუხრანსკი, ლეიტენანტი ალიოშა კვიტაიშვილი და დათიკო კვაჰანტირაძე, რომელნიც ენერგიულათ ეხმარებოდენ სცენის მოყვარეებს.

ქ. ურუშაძიშვილი

## ფრონტის დამხმარე კომიტეტის სია № 12.

შეკრებილი ე. ბერძენიშვილი, ეკ. სიტმალიძე, ახ. დიმიტრიადი, პ. ჩიროზიდი და ლავ. რუხაძის.

1 კარახსან ფაშა შვილები 15.000 2 კონკალიდის შვილები 10 000, 3 ძმ. კონკალიდის 10.000, 4 ვარშავსკი და კომპანია 10.000, 5 ოსმან ისმაილ-ზადე 10.000 6 ძმ. რუხაძე 20.000, 7 ამხ. „ფიძის“ 10.000, 8 პისტოფიდი გეორგი 50.000, 9 კალაიდჯოღლი 20 000, 10. იმნაძე ს. და აროშელიძე 10.000, 11. ძმ. კარახსან 10.000, 12. რავნოს გეორგი 5 000, 13 კაპაიანიცი ბანკი 20.000, 14. ფირცხალა და შარაძე ნ. 10.000, 15. გრიგორიადი კონსტანტინე 5 000, 16 კრუშინი 5.000, 17 ქურთოევი და მალხასიანი 10.000 18 ძმ. სოვაიანი 3 000, 19 ძმ. ჩიროზიდი 10 000, 20 ტ. ზერტმან კარტოვსკი 20 000, 21 სიმონოვები ძმ. 20.000, 22 კეზელუხის და ამხ-ბა 10.000, 23 ექ. სოგოიანი 10 000, 24 ძმ. პაპანდოპულო 8.000, 25 ძმ. სოღოიანი 10.000, 26 ტერზიაპულო კონსტან 1.000, 27 სტეფანიდი პოლიხრან 1.000, 28 პაპონდოპულო ადრი 1.000, 29 ძმ. ასლანიდი 5.000 30 ტრიანტაფილიდი ტრიანაფ. 20.000, 31 ხარალამზიდი ძმ. 10.000, 32 პიკილიდი ივანე 5.000, 33 ელიშვილი 10.000, 34 კავზიოღლი ომერი 5 000, 35 კეივანიდი იორდან 5.000, 36 ხარეიანტიდი კონსტანტ. 10.000, 37 ლილუაშვილი და კომპანია 5.000, 38 გრამლანტიკოპულო 2.000, 39 პარვენოპულო 1.000, 40 ბეიუკლი ოღლი 1.000, 41 სიმეულიდი არისტიტ 1.000, 42 კალოიდჯან მ. 33 ხარალამზიდი სტ 1.000, 44 ანფოპულო ივანე 3.000, 45 ამხ-ბა „ეფრატ“ 3.000, 46 კონსტანტინიდი-ფუკს 5.000, 47 იავლანდუიდი ანტონი 1 000, 48 ფოკას ხრისტო 3.000, 49 ამბელიდი ხრისტო 2 000, 50 მაკატაევ შოფი 5.000, 51 ერიკოლავა 1.000, 52 ჯაფარივი ვ. 3.000, 53 მაკატაევი 2.000, 54 ბუჩუგური ბიორგი 2.000, 55 კახრეიძე ამბაკო 3.000, 56 ვედაძე ილია 1.000, 57 ფილიპიანი პ 2.000, 58 კანკსიდი ილია 1.000, 59 კატისაკალიდი ივანე 5 000, 60 60 ანდრიადი ანდრე 3.000, 61 სიმეონიდის 1 000, 62 ეფრემიდი გიორგი 2.000, 63 ძმ. საკარ-ზადე 5.000, 64 ეფრემიდი პანაიოზ 3.000, 65 პაპანდოპულო ოლია 5.000, 66 სემერჯიანი მირიან 2.000, 67 საკრანსკის აბრამ 10 000, 68 ერევტერიადი ხარ. 1.000, 69 გრამატიკოპულო პანაიოტ 5.000, 70 რამმატიკოპულო ვას. 10.000, 71 სეიდ-ზადე 1.000, 72 ანდრიადი კირ. 5.000, 73 აპოსტოლიდი ივანე 20.000, 74 დემკოლდჯიანი ამოიაკ 1.000, 75 მოსკოვის ამხანაგობა 10.000, 76 ავრამიტი კონსტანტინე 3.000, 77 შაინ-ზადე ნურ. 10.000 78 ომერ-ზადე რეშიდ 5 000, 79 ხაჯი ოღლი ხუსეინ 1.000, 80 ლჯაფარ ხაჯი ხუსეინ 4.000, 81 არაკელიან პოლის 1.000, 82 ძმ. ხაჯინიდი 2.000. 83 ნიკოლოსიანი და პეტროსიანი 3.000, 84 ძმ. მიხელაშვილი 2.000, 85 ძმ. საბზი-ზადე 10.000, 86 „ფოკას ანასტასი“ 5.000, 87 ძმ. კალანდარიშვილი 10 000, 88 თავართქილაძე ივანე 3.000, 89 ძმ. ტერზიანი 10.000. 90 კეს-ოღლი პეტროს და ოლია 5.000, 91 ტ. დ. მკეს-ოღლის შვილები 10 000, 92 ბეირუზ-ზადე სულეიმან 15.000, 93 კონსტანტინიდი ანოდი 1.000, 94 კაკოშვილი და შალიაშვილი 5.000, 95 ამირიდი ივანე 10 000, 96 ფოტიადი ილია 1.000, 97 კოტიძე თეოფანე 1.500, 98 ბაირაკტარიდი აპოსტოლი 3.000, 99 აიკუნოვ აიკუნ 2.000, 100 ამინდაევ ჯამალ 1.000, 101 სიხარულიძე ნესტორი 2.000, 102 სპანიდი ივანე 1,000. 103 პეტრიდი და სიდერიდი 5,000, 104 ჩიროზიდი ახილეს 3.000, 105 ჯავახოვი იოსები 1.000, 106 კარაკაშიან ოვანჯან 2.000 107 ხუსეინოვი სუიდი 1 500, 108 კონსტანტინიდი სავვა 5.000, 109 ფელეკიდი პანაიოტ 2.000, 110 ალიევი სალიხ 1.000, 111 ტაიაზ-გუმ ფეშა 1 000, 112 იბრაგიმ აგა-ზადე 6.000, 113 გრიგორიევი და იგოთხანიან 5.000, 114 შამიკ-ზადე მემედ 5.000, 115 გეველარიან არუშაკ 10.000, 116 ხუხაშვილი არონ 4.000, 117 ფარადჯეოღლი ზაიმალი 3.000, 118 გრიგორიან მიკირდიჩ 5.000, 119 სარიან არდაშეს 10.000, 120 ძმ. პ. პანიდი 3.000, 121 გოგიშვილი არტემ, ივან 10.000, 122 ძმ. პანჩუხიდი 2.000, 123 გერონტიდი თედორე 1.000, 124 ჩიქოვანი და გოგენია 5.000, 125 გურზულიდი სტავრო 1.000, 126 გეორგაძე არიფ-აღა 5.000, 127 ლოტოს-ოღლი 10.000, 128 გასანოვი მ. თ. 10.000, 129 ზიპიდის პავლე 2.000.

რედაქტორი ქ. ძამთარაძე.


მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

ყოველდღიური გაზ.

## „ბათომის ცხოვრებაზე“

თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან.
მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.
ხელ მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში.


ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს

რომ მან ეხლად მოაწყო

## ვალცის წისქვილი

(вальцовую мельницу).

რომელიც ჯერ ჯერობით დღიურათ ფქვავს 1000 ფუთ ძორბალს, მიღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე

დაწესებულებანი რომელიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილი, ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.

ბათომის ქალაქის გამგეობა.

## განცხადება

ბათომის ქალაქი გამგეობა ამით აცხადებს,

რომ თანახმად ქალაქის საბჭოს 13 იანვარის არაჩვეულებრივ სხდომის დადგენილებისა მიმდინარე წლის 14 იანვრიდან ქალაქ ბათომში დაწესებულია

### შემდეგი ნიხრი ხორცეულობაზე:

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი გირვანქა | 150 | მან. |
| „ „ ფუთი | 5000 | „ |
| ღორის ხორცი გირვანქა | 200 | „ |
| „ „ ფუთი | 8000 | „ |
| ცხვრის ხორცი გირვანქა | 200 | „ |
| „ „ ფუთი | 8000 | „ |
| კამეჩის ხორცი გირვანქა | 150 | „ |
| „ „ ფუთი | 4000 | „ |
| ძროხის ქონი გირვანქა | 400 | „ |
| ღორის ქონი და ცხვრის გირვანქა | 500 | „ |

ვინც ამ ნიხრს დაარღვევს, ის მიეცემა პასუხის გებაში.

3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა.

ლიტ. მაკ... სტამბა ს. პ. მაღულაძის ... №21 ბათუმი.